

*დამტკიცებულია*

*წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, ოქმი  
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კანცლერი*

№ \_\_\_\_\_ 201\_ წ.

№ \_\_\_\_\_ 201\_ წ.

\_\_\_\_\_ ლ. ხვედელიძე

## წარმომადგენლობით ორგანოებში არჩევნების ჩატარების დებულება

ნდ №2-030101-16

ბათუმი

2017

შინაგანაწესის (შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის მომწესრიგებელი დებულების) დანართი №

**შინაარსი**

პრეამბულა. მოქმედი შემოკლებები და განმარტებები..... 3

მუხლი 1. სამართლებრივი საფუძველი. რეგულირების სფერო..... 4

მუხლი 2. არჩევნების ჩატარების პრინციპები..... 4

მუხლი 3. არჩევნების ორგანიზება ..... 4

მუხლი 4. არჩევნების ორგანიზება საარჩევნო სიები. წინასაარჩევნო აგიტაცია. არჩევნების პროცესი. არჩევნების შედეგები..... 4

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები ..... 5

**წესში ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი:**

ცვლილებების ბიულეტენის №	ცვლილებების დამტკიცების თარიღი	შეცვლილი გვერდები	კორექტირების შემსრულებელი პირის ხელმოწერა

### პრეამბულა

1. წინამდებარე დებულება ნორმატიული დოკუმენტია;
2. წინამდებარე დებულება:
  1. შემუშავებულია ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ;
  2. განხილულია ბნსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ, დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;
  3. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
3. დებულებაში ცვლილებები მუშავდება და შედის საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს დებულება;
4. წინამდებარე დებულება ვრცელდება ბნსუ-ის შემდეგ დოკუმენტებზე:
  1. კონკურსის ჩატარებისას გამოყენებული ანკეტები, ფორმები;
  2. ყველა დოკუმენტი, რომლის მიღების საფუძველს წარმოადგენს წინამდებარე დებულებაში არსებული წესები.
5. წინამდებარე დებულების აღრიცხული ეგზემპლარები ინახება:
  1. ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან (ორიგინალი);
  2. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ.ვერსია).
6. დებულების ნორმატიული საფუძველი:
  1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
  2. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
  3. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
  4. ნდ №2-010101 – ბნსუ-ს წესდება;
  5. ნდ №2-010102 – ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება (შინაგანაწესი);
  6. ნდ №2-020101-01 – დოკუმენტების მართვის პროცედურა.

### ბნსუ-ში მოქმედი შემოკლებები და განმარტებები

- ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ხს - ხარისხის სისტემა;
- ECTS - კრედიტებისა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
- პროფესიული განათლების კრედიტი - პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის (დატვირთვის) გამოხატველი ერთეული;
- სდ - საინფორმაციო დოკუმენტი;
- სსა - საქართველოს საზღვაო ადმინისტრაცია;
- ნორმატიული დოკუმენტი - დოკუმენტი, რომელიც ადგენს სხვადასხვა საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;
- თანამდებობრივი ინსტრუქცია - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;
- სტრუქტურული ერთეულის დებულება - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის სფეროს ან მიმართულებას, ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ფუნქციებს;
- აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;
- სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო / სამაგისტრო / პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ/სდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;
- ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“.

### მუხლი 1. სამართლებრივი საფუძველი. რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება შემუშავებულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის და ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში – ბნსუ-ს) შინაგანაწესის საფუძველზე. წინამდებარე დებულება არეგულირებს ბნსუ-ში წარმომადგენლობით ორგანოებში არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

### მუხლი 2. არჩევნების ჩატარების პრინციპები

1. წარმომადგენლობით ორგანოში საბჭოს წევრის არჩევისას უნდა იყოს უზრუნველყოფილი გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპები. არჩევნები:
  - გამჭვირვალეა, თუ ინფორმაცია თითოეული ეტაპის შესახებ ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადია დაინტერესებულ პირთათვის. არჩევნების ჩატარების თარიღისა და პირობების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებით;
  - თანასწორია, თუ გამოირიცხება ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია და ყველა არჩევნებში მონაწილე პირი იმყოფება თანაბარ პირობებში;
  - კონკურენცია სამართლიანია, თუ გამოყენებულია შერჩევის წინასწარ დადგენილი კრიტერიუმები.

### მუხლი 3. არჩევნების ორგანიზება

1. ბნსუ-ში წარმომადგენლობითი ორგანოების (წარმომადგენლობითი საბჭო, აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭო, სტუდენტური თვითმმართველობა) არჩეული წევრები აირჩევიან წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების საფუძველზე;
2. არჩევნები ტარდება თითოეული წარმომადგენლობითი ორგანოსთვის ცალცალკე. არჩევნები ცხადდება რექტორის ბრძანებით, სადაც მითითება არჩევნების ყველა ეტაპის (მათ შორის, შედეგების გასაჩივრების) თარიღები/ვალები, საარჩევნო კომისიის წევრების (ბნსუ-ს პერსონალის) ვინაობა, არჩევნების გამოცხადებისა და შედეგების გამოცხადების ფორმა (ბნსუ-ს ვებგვერდზე ინფორმაციის ან/და საინფორმაციო დაფაზე განთავსება) და არჩევნების ჩატარების წესი (მითითება წინამდებარე დებულების შესაბამის მუხლებზე);
3. წარმომადგენლობით ორგანოში ამომრჩეველთა კონტინენტს განსაზღვრავს შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოს (აკადემიური საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს) დებულება. სტუდენტურ თვითმმართველობაში და წარმომადგენლობით ორგანოებში წევრი-სტუდენტის/პროფესორის სტუდენტის არჩევნებში მონაწილეობენ მხოლოდ სტუდენტები/პროფესორები სტუდენტები;
4. არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობას, არჩევნების ჩატარების საორგანიზაციო-საინფორმაციო მხარდაჭერას, არჩევნების შედეგების გამოცხადებას უზრუნველყოფს ბნსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. საარჩევნო მოთხოვნებთან კანდიდატთა შესაბამისობას ადგენს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
5. არჩევნებზე დამკვირვებელი არის ბნსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დასახელებული ერთი წარმომადგენელი და სტუდენტთა მიერ დასახელებული ერთი წარმომადგენელი-სტუდენტი, რომლებიც კონტროლს უწევენ არჩევნების პროცესს და მონაწილეობენ არჩევნების შედეგების შეჯამებაში. დამკვირვებელი პირი არ შეიძლება თავად იყოს საარჩევნო კანდიდატი;
6. არჩევნების ჩატარების შესახებ ინფორმაციის გამოცხადებიდან (ბნსუ-ს ვებგვერდზე და/ან საინფორმაციო დაფაზე განთავსებით) არაუგვიანეს ერთი კვირისა ბნსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი (შემდგომში – პერსონალი) და სტუდენტები ირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს (არჩევნებზე დამკვირვებლებს) და წერილობით წარადგენენ მათ კანდიდატურებს. წარდგინებაში უნდა იყოს მითითებული წარდგენილი პირის სახელი და გვარი, წარმდგენ პირთა ვინაობა და მათი ხელმოწერები. წარდგინება უნდა ჩაბარდეს ბნსუ-ს კანცელარიას. პერსონალის/სტუდენტთა ჯგუფების მიერ სხვადასხვა კანდიდატების წარდგენის შემთხვევაში არჩევანი კეთდება იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც ეყოლება მეტი ხელმოწერით დადასტურებული წარმდგენი;
7. არჩევნების (ხმის მიცემის) პროცესს უზრუნველყოფს საარჩევნო კომისია, ამომრჩეველთა ხმების დათვლას – დამკვირვებლები და საარჩევნო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან: საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, იურიდიული სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები და სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა კომისიის მიერ თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით. კომისიის სხდომა დახურულია, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება მისი შემადგენლობის არანაკლებ 1/2. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით.

### მუხლი 4. არჩევნების ორგანიზება საარჩევნო სიები. წინასაარჩევნო ავტაცია. არჩევნების პროცესი. არჩევნების შედეგები

1. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა აქტიური სტატუსის მქონე პროფესიულ სტუდენტს/სტუდენტს, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის პერიოდში არ აქვს მიღებული F შეფასება, აკადემიური პერსონალის შემთხვევაში პირი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოს) დებულებით დადგენილ მოთხოვნებს. ასევე, კანდიდატს არ უნდა ჰქონდეს ჩადენილი დისციპლინური დარღვევა (არ უნდა ჰქონდეს დაკისრებული დისციპლინური სასჯელი);
2. პირი, რომელიც აკმაყოფილებს ზემოთ მითითებულ მოთხოვნებს, შეუძლია წამოაყენოს თავისი კანდიდატურა და დარეგისტრირდეს საარჩევნო სიაში, რა მიზნითაც უნდა მიმართოს ბნსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და დარეგისტრირდეს საარჩევნო სიაში. რეგისტრაციავალიდ კანდიდატს ენიჭება საარჩევნო სიაში ნომერი;
3. საარჩევნო სიაში და საარჩევნო ბიულეტენში მითითება ყველა კანდიდატის სახელი და გვარი და საარჩევნო სიაში ნომერი;
4. არჩევნებში მონაწილე კანდიდატს და მის მხარდამჭერ ბნსუ-ს პერსონალს და სტუდენტებს უფლება აქვთ აწარმოონ წინასაარჩევნო კამპანია;
5. დაუშვებელია საარჩევნო კამპანიაში ბნსუ-ს ადმინისტრაციის (ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულის) რაიმე ფორმით მონაწილეობა ან ნებისმიერი ფორმით ამომრჩეველებზე ან/და კანდიდატებზე ზეწოლა;
6. ბნსუ ყველა კანდიდატს უზრუნველყოფს საარჩევნო კამპანიის წარმოების თანაბარი შესაძლებლობით;
7. საარჩევნო კამპანია შეიძლება განხორციელდეს მაგ., შეხვედრების, დებატების, დისკუსიების, საავტაციო მასალების გავრცელების ან სხვ. ფორმით, რა დროსაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი სხვა პირთა უფლებები, თავისუფლებები და კანონიერი ინტერესები, ბნსუ-ს ეთიკის კოდექსის მოთხოვნები და ქვეყნის წესები;
8. დაუშვებელია საარჩევნო კამპანიის შეზღუდვა ბნსუ-ს ადმინისტრაციის მიერ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ირღვევა/მაღალი ალბათობით შეიძლება დაორღვეს საქართველოს კანონმდებლობის და ბნსუ-ში მოქმედი ზემოთ მითითებული მოთხოვნები ან სხვა პირთა კანონიერი ინტერესები ან/და საარჩევნო კამპანიით/მისი კონკრეტული ფორმით შეიძლება საფრთხე შეექმნას ბნსუ-ს საქმიანობას დან/ან სასწავლო პროცესის მიმდინარეობას ან/და ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს/ინფრასტრუქტურას ან/და

ბნსუ-ში მყოფ პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ყველა მსგავსი შემთხვევა მიიჩნევა ქვევის წესების და ეთიკის კოდექსის დარღვევად და იწვევს დისციპლინურ სანქციას;

9. არჩევნების დღეს დაუშვებელია საარჩევნო კამპანიის გაგრძელება ან ნებისმიერი ფორმით აგიტაცია;
10. ბნსუ-ში არჩევნები ტარდება საარჩევნო ბიულეტენზე აღნიშნული და საარჩევნო ყუთში ბიულეტენის მოთავსებით;
11. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ბნსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია ინფორმაციის სიზუსტეზე;
12. ბიულეტენში მითითება ბნსუ-ს სრული დასახელება; წარმომადგენლობითი ორგანო, რომლისთვისაც ტარდება არჩევნები; კანდიდატთა ჩამონათვალი და მათი სარეგისტრაციო ნომერი;
13. დაუშვებელია ერთ ამომრჩეველზე ერთზე მეტი ბიულეტენის გაცემა. ხმის მისაცემად არჩევნებზე მოსულ ამომრჩეველს ეძლევა საარჩევნო ბიულეტენი და ამის შესახებ აღნიშვნა კეთდება ამომრჩეველთა ერთიან სიაში. ბიულეტენს ხელს აწერს ბიულეტენის გამცემი პირი. მიღებულ ბიულეტენს ამომრჩეველი ათავსებს საარჩევნო ყუთში და ისე გადის ოთახიდან, სადაც განთავსებულია საარჩევნო ყუთი;
14. დაუშვებელია საარჩევნო ოთახში ვიდეო- ან აუდიო- ჩანაწერის წარმოება, ხმის მიცემის შემდეგ საარჩევნო ოთახში დარჩენა ან განმეორებით შესვლა, უცხო პირთა (რომლებიც არ მონაწილეობენ არჩევნებში) შესვლა, ნებისმიერ ფორმით ხმისმიცემის ხელისშემშლელი ქმედების ჩადენა და წესრიგის დარღვევა. აღნიშნული მიიჩნევა ქვევის წესების დარღვევად, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს არჩევნების ობიექტურობას და არჩევანის თავისუფლებას. დარღვევის ფაქტი და დამრღვევი პირის ვინაობა ფიქსირდება საარჩევნო კომისიის ოქმში, ინფორმაცია დარღვევის შესახებ გადაეცემა ბნსუ-ს სადისციპლინო კომისიას;
15. არჩევნების ჩატარების ოთახში გამოყოფილია სპეციალური განვალკევებული ადგილი, სადაც ამომრჩეველს შეუძლია თავისუფლად არჩევანის გაკეთება კონდიფენციალურობის დაცვის პირობებში. დასაშვებია ბიულეტენში მხოლოდ ერთი კანდიდატის არჩევა (შემოხაზვა). ერთზე მეტი კანდიდატის შემოხაზვის შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენი მიიჩნევა ბათილად;
16. საარჩევნო ყუთი დალუქულია და იხსნება არჩევნების დასრულების (დათქმული საათის შემდეგ). თუ საარჩევნო ყუთი დაზიანდა, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ, თუ საარჩევნო კომისია და დამკვირვებლები მიიჩნევენ, რომ დაზიანებაში შეიძლება გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე. დაზიანების ფაქტი და გადაწყვეტილება ფიქსირდება ოქმში;
17. არჩევნებში გამარჯვებულად ითვლება პირი, რომელმაც არჩევნებში გამოცხადებულ ამომრჩეველთა ხმებით დააგროვა ყველაზე მეტი ხმა;
18. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ: 1) ბიულეტენზე არ არის მითითებული წინამდებარე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, ყველა კანდიდატის ვინაობა ან ბიულეტენზე არ არის საარჩევნო კომისიის წევრის ხელმოწერა, 2) შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატი; 3) არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატი; 4) ბიულეტენი ფიზიკურად დაზიანებულია, რაც გამორიცხავს ბიულეტენის ნამდვილობის დადგენას ან/და შეუძლებელია იმის გარკვევა თუ რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა;
19. არჩევნები არშემდგარად გამოცხადდება, თუ არჩევნებზე არ გამოცხადდება არც ერთი ამომრჩეველი ან ყველა საარჩევნო ბიულეტენი ბათილია. ასევე, არჩევნები შეიძლება ბათილად გამოცხადდეს წინამდებარე მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. არჩევნების ბათილად გამოცხადების გადაწყვეტილება აისახება საარჩევნო კომისიის ოქმში;
20. არჩევნების არშემდგარად/ბათილად გამოცხადების შემთხვევაში ტარდება ახალი არჩევნები;
21. არჩევნების შედეგები აისახება საარჩევნო კომისიის ოქმში, რომელშიც მითითება: საარჩევნო კომისიის დასახელება; სხდომის თარიღი და ადგილი; წარმომადგენლობითი ორგანო, რომლისთვისაც ტარდება არჩევნები; სხდომის თავმჯდომარის, სხდომის მდივნის, წევრების და დამკვირვებლების ვინაობა; დღის წესრიგი; გამოთქმული მოსაზრებები, კენჭისყრის შედეგები; მიღებული გადაწყვეტილებები; არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა ვინაობა, მათ მიერ მიღებული საარჩევნო ხმების რაოდენობა და არჩევნების შედეგები - გამარჯვებულ კანდიდატთა ვინაობა. სხდომის ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე, მდივანი, საარჩევნო კომისიის ყველა წევრი და დამკვირვებლები;
22. არჩევნებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი (საარჩევნო კომისიის ოქმები და სხვ.) ინახება ბნსუ-ს კანცელარიაში განვალკევებულად;
23. არჩევნების წინასწარი შედეგები გამოცხადდება ბნსუ-ს ვებგვერდის მეშვეობით ან/და განთავსდება საინფორმაციო დაფაზე;
24. არჩევნების შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს გასაჩივრებისთვის დადგენილ ვადაში იმ შემთხვევაში, თუ დაფიქსირდა საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების პროცედურის დარღვევის ან არჩევნების შედეგების გაყალბების ფაქტი. საჩივრის შეტანა ხდება განცხადებების წარდგენის ბნსუ-ში მოქმედი წესის შესაბამისად;
25. არჩევნების პროცესში წესრიგის დარღვევის, არჩევნების პროცედურის დარღვევისა და არჩევნების შედეგების გაყალბების ფაქტებს განიხილავს ბნსუ-ს სადისციპლინო კომისია, რომლის გადაწყვეტილება არის საბოლოო (შედეგები მიიჩნევა საბოლოო შედეგად). წესრიგის დარღვევის/გაყალბების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კომისია წესრიგის დამრღვევის/შედეგების გაყალბებაში ან წესრიგის დარღვევის/გაყალბების ხელშეწყობაში მონაწილე პირის მიმართ იყენებს დისციპლინურ სანქციას;
26. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების გასაჩივრებისთვის დადგენილ ვადაში არ მოხდა შედეგების გასაჩივრება, მაშინ არჩევნების წინასწარი შედეგები მიიჩნევა არჩევნების საბოლოო შედეგად;
27. არჩევნების შედეგები ძალაში შედის ბნსუ-ს ვებგვერდზე ან საინფორმაციო დაფაზე არჩევნების საბოლოო შედეგების შესახებ ინფორმაციის განთავსებისთანავე;
28. არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატი ხდება შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი. მისი უფლებამოსილების ცნობა ხდება შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოს პირველივე სხდომაზე.

#### **მუხლი 5. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე;
2. ბნსუ-ში არჩევნებში მონაწილე პირები, არჩევნების ჩატარების მიზნით შექმნილი კომისიის წევრები, დამკვირვებლები, არჩევნების პროცესის საორგანიზაციო, ტექნიკურ და საინფორმაციო უზრუნველყოფაში ჩართული პირები მოქმედებენ წინამდებარე დებულების საფუძველზე და ვალდებული არიან დაიცვან შესაბამისი წესები, ხოლო ბნსუ-ს ადმინისტრაცია ვალდებულია მისცეს მათ ამ დებულების გაცნობის შესაძლებლობა;
3. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის და იურიდიული სამსახურები, წარმომადგენლობითი, აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოები;
4. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინდ

ნებით წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით;

5. წინამდებარე დებულების მუხლებს წანამდგომელი აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
6. წინამდებარე დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ზათილად ცნობა არ ვრცელდება წესის სხვა მუხლებზე/ დებულებებზე;
7. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით და ბნსუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
8. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.

#### 5. წესის პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

№№ რ/ნ	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმების გვარი, ინიციალები, თანამდებობა	ხელმოწერა	ცვლილებას ექვემდებარება პუნქტები

